ქართული ენა და ლიტერატურა

ძველი ქართული მწერლობა

X

მასწავლებლის წიგნი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის მიერ (ბრძანება №375; 18.05.2012)

ავტორები: **მანანა გიგინეიშვილი,**
ლაურა გრიგოლაშვილი,
ვახტანგ როდონაია,
ავთანდილ არაბული

სწავლანი

თბილისი - 2012

© „სწავლანი“, 2012

ISBN 978-9941-9271-9-5

შინაარსი

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა 4

X კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში 9

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან — შინაარსისა და მიზნების რუკა 23

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები 25

სანიმუშო გაკვეთილების სცენარები 26

შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები შეფასებისათვის 37

ძირითადი რესურსები მასწავლებლისათვის 44

სახელმძღვანელოს დანიშნულება და სტრუქტურა

X კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებული სწავლებისთვისაა განკუთვნილი.

X კლასის სახელმძღვანელო VII, VIII, IX კლასების სახელმძღვანელოების ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს. ამავე დროს, ის სწავლების ზედა საფეხურის (X — XII კლასების) პირველი სახელმძღვანელოა, რომლითაც სწავლების ახალი ეტაპი, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის სწავლება უნდა დაიწყოს. შეგახსენებთ, რომ ავტორთა კოლექტივის კონცეფციის თანახმად, თორმეტწლიანი სწავლების ბოლო სამი წელი (X,XI,XII კლასები) ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლას ეთმობა. კერძოდ, X კლასში განსაზღვრულია ძველი, XI კლასში — ახალი და XII კლასში უახლესი ქართული ლიტერატურის შესწავლა.

ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლის დასაწყებად ნიადაგი IX კლასის სახელმძღვანელომ შეამზადა. ამ სახელმძღვანელომ დაასრულა მიზანმიმართული, ანუ ე.წ. სტრატეგიული, კითხვის ხერხებისა და ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტების შესწავლის პირველი ეტაპი, რომელიც სასკოლო განათლების ზედა საფეხურზე უფრო სერიოზული და რთული ამოცანების დასმის საშუალებას იძლევა.

VII კლასიდან ჩვენ მიზანმიმართულად ვაცნობდით მოსწავლეებს ძველ ქართულ ენაზე შექმნილი ტექსტების ფრაგმენტებს და მათი კითხვის სტრატეგიებს (ტექსტის პერიფრაზირება, სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა კონტექსტის მიხედვით და სხვ.). IX კლასის სახელმძღვანელოში ეს ტრადიცია გაგრძელდა და, ამასთანავე, რუბრიკაში „ენის ისტორია“ მოსწავლეებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ძველი ქართული ენის არსებით თავისებურებებს, რამაც ნიადაგი მოამზადა იმისათვის, რომ X კლასიდან ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა დაიწყოს. როგორც ცნობილია, აქამდე ძველი ლიტერატურის სწავლება იწყებოდა მოსწავლეთა ამგვარი

მომზადების გარეშე, რაც განაპირობებდა ამ ლიტერატურის სწავლებაში არსებულ თითქმის დაუძლეველ სირთულეებს. ავტორთა კოლექტივის კონცეპტუალური ხედვის თანახმად, ძველი ქართული ლიტერატურის სწავლება, რომელიც საშუალო საფეხურის (VII — IX კლ.) სახელმძღვანელოებით არის შემზადებული, X კლასში უკვე ნაკლებ სირთულეებს გამოიწვევს.

სწავლების ზედა საფეხურისათვის (X – XII კლ.), ანუ ქართული ლიტერატურის ისტორიული კურსის შესწავლისათვის ამზადებს მოსწავლეებს, აგრეთვე, IX კლასის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი კითხვის სტრატეგიები, როგორიცაა, მაგალითად, ნაწარმოების კითხვა ლიტერატურულ და ისტორიულ კონტექსტზე დაყრდნობით.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ლიტერატურული მასალა დაყოფილია თავებად თემატური და ჟანრობრივი პრინციპის მიხედვით. თითოეული თავის სტრუქტურა მკვეთრად არის განსაზღვრული სწავლების მეთოდიკაზე დაყრდნობით. გამოყოფილია ტექსტის წაკითხვამდე, ტექსტის კითხვის პროცესში და კითხვის დასრულების შემდგომი (შესაფასებელი) აქტივობები. „ტექსტის წაკითხვამდე“ აქტივობები: არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირება, ტექსტის მხატვრული ანალიზის ელემენტები და კითხვის სტრატეგია — კითხვის პროცესის მოდელირების საშუალებას აძლევს მასწავლებელს. კითხვის შემდგომი აქტივობები კი, სადაც შესაბამისი სააზროვნო პროცესები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით არის განსაზღვრული, მასწავლებელს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების პროცესს გაუადვილებს.

როგორც ცნობილია, ბლუმის ტაქსონომია სააზროვნო უნარების კლასიფიკაციაა და ის მეცნიერმა საგანგებოდ შექმნა საგანმანათლებლო მიზნებისათვის 1956 წელს. მან ადამიანის აზროვნების ანუ შემეცნების უნარი ექვს საფეხურად დაყო. ეს საფეხურებია: **ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.** ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე რთულია და შესაბამისად აზროვნების უფრო მაღალ დონედ განიხილება.

ცოდნა აზროვნების პირველი საფეხურია და ინფორმაციის ფლობას გულისხმობს. ცოდნის გამოსავლენად დასმული კითხვებით მოწ-

მდება ახსოვს თუ არა მოსწავლეს, ფაქტები, მოვლენები, ტერმინები.

ზმნები და საკვანძო სიტყვები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ცოდნის გამოსავლენად დასმულ ამოცანებსა და კითხვებში: **დაასახელე, ჩამოთვალე, გადმოეცი, აღწერე, მოძებნე, გაიხსენე, გამოყავი; რომელია სწორი და რომელი მცდარი? ვინ? რა? როდის? სად? როგორ? რა ჰქვია? რა უთხრა? რა უპასუხა? როგორ დამთავრდა? რა მოჰყვა?..**

გაგება გულისხმობს, ესმის თუ არა მოსწავლეს ფაქტებისა და მოვლენების არსი, შეუძლია თუ არა მათი ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირება, განმარტება.

ზმნები და საკვანძო სიტყვები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ გაგების გამოსავლენად დასმულ ამოცანებსა და კითხვებში: **შეადარე, დაუპირისპირე, დააჯგუფე, დაახასიათე, განმარტე, გადმოეცი შენი სიტყვებით, მოიყვანე მაგალითი; როგორ გესმის? რატომ გამოიყენა ეს ხერხი მწერალმა? რისი თქმა სურდა ავტორს? როგორ გგონია, რა მოჰყვება გმირის საქციელს? რა განსხვავებაა..? როგორ ფიქრობ, რატომ მოგვითხრო ეს ამბავი მთხრობელმა?..**

გამოყენება გულისხმობს, შეუძლია თუ არა მოსწავლეს პრობლემის გადაჭრა მიღებული ცოდნის, ნაცნობი ფაქტებისა და შესწავლილი ტექნიკის გამოყენებით განსხვავებულ სიტუაციაში.

ზმნები და საკვანძო სიტყვები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ გამოყენების უნარის გამოსავლენად მიცემულ დავალებებში: **გამოიყენეთ, თარგმნეთ, გადააკეთეთ პიესად, დაწერეთ მოცემული სქემის მიხედვით, რა შეიცვლებოდა, რომ... რა კითხვას დაუსვამდით... როგორ მოიქცეოდა პერსონაჟი, თუ...**

ანალიზი მოცემული ინფორმაციის დანაწევრების (მასში ნაწილების გამოყოფის), მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის, დასკვნის გამოტანის, მტკიცებულების მონახვის უნარს გულისხმობს.

საკვანძო ფრაზები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ანალიზის უნარის გამოსავლენად დასმულ კითხვებში: **რამდენ ნაწილად დაყოფდით? რატომ ფიქრობთ...? რა მოტივი ამოძრავებდა პერსონაჟს? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? რა კავშირია...? როგორ დაახასიათებდით? როგორ დაასაბუთებდით?**

სინთეზი ნაცნობი ინფორმაციის ან ელემენტების კომბინაციის გზით ახლის შექმნის უნარს გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ სინთეზის უნარის გამოსავლენად მიცემულ დავალებებში: **დაწერე თხზულება, მოიგონე სიუჟეტი, განსაზღვრე წესი, გადაწყვიტე, მოიგონე...**

შეფასება გულისხმობს საკუთარი აზრის გამოთქმისა და დასაბუთების უნარს. შეფასება ყოველთვის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა ეყრდნობოდეს. „მომწონს", „არ მომწონს" — ემოციური გამოხმაურებაა და არა შეფასება. ნაწარმოების კითხვის დასრულების შემდეგ მასწავლებელმა შესაძლებელია (და სასურველიცაა) დასვას კითხვა: როგორ მოგეწონათ ნაწარმოები? ან რა განცდა დაგეუფლათ ლექსის კითხვის პროცესში? და სხვ. რაც მოსწავლეებს ნაწარმოებზე ემოციური რეაგირების საშუალებას მისცემს და ნიადაგს მოამზადებს შემდგომი მსჯელობისთვის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არ არის შეფასება, ვინაიდან შეფასება გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს და ის ემოციური რეაგირება კი არა, აზროვნების მაღალი დონეა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარსაც გულისხმობს.

საკვანძო სიტყვები, რომლებიც შესაძლებელია გამოვიყენოთ შეფასების უნარის გამოსავლენად მიცემულ კითხვებსა და დავალებებში: **შეაფასეთ, ურჩიეთ, დაიცავით, უარყავით, გაასწორეთ, რატომ იყო ეს გადაწყვეტილება მცდარი? რა რჩევას მისცემდით...? რამდენად სწორი იყო...?**

დაეხმარებათ მასწავლებლებს, გამოარჩიონ ერთმანეთისაგან აზროვნების ზედა და ქვედა დონეების გამოსავლენი შეკითხვები და ადეკვატურად გამოიყენონ ისინი, როგორც სწავლების, ისე მოსწავლეთა შეფასების პროცესში.

ენის საკითხები მოცემულია ტექსტზე დართული სავარჯიშოების ბოლოს რუბრიკაში: „ტექსტის ენა". შეგახსენებთ, რომ მოსწავლეები შეჩვეულნი არიან ტექსტებიდან გამოკრებილ ენობრივ ფორმებზე დაკვირვებას (ეს ტრადიცია სათავეს იღებს ჩვენი VII კლასის სახელმძღვანელოდან), თანაც პრაქტიკული გრამატიკის სისტემუ-

რი კურსი მათ უკვე გავლილი აქვთ (იხ. VII,VIII,IX კლასების მოსწავლის რვეულები), ამიტომ ძირითადი ცნებები და საკითხები მათთვის ნაცნობია. ძველი ქართული ენის გრამატიკული ფორმების გაცნობა, ერთი მხრივ, ძველი ტექსტების უკეთ გაგებაში ეხმარება მოსწავლეებს, მეორე მხრივ კი, თანამედროვე ქართულის გრამატიკის შესწავლის დროს ათვისებული ცოდნის განმტკიცებაში. ჩვენი აზრით, მოსწავლეთა ენობრივი აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია გარკვეული ენობრივი ფორმების ისტორიულ ჭრილში დანახვა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რუბრიკაში — „ტექსტის ენა“ — მოცემული მასალა წასაკითხად და სავარჯიშოების შესასრულებლადაა განკუთვნილი და არა დასასწავლად.

სახელმძღვანელოს ყველა თავის სტრუქტურა ერთნაირია. გამონაკლისია III თავი: „დიდი წიგნი“, რომელშიც მისი მოცულობის გამო მთლიანად ვერ შევიტანეთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოსწავლეებმა „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემიდან უნდა დაამუშაონ.

სახელმძღვანელო შედგება ოთხი თავისაგან. ესენია:

1. „როცა ძალადობა უძლურია“
2. „ტალანტის გამრავლება“
3. „დიდი წიგნი“
4. „ისმინე, სწავლის მძებნელო“

I თავში შევიდა „წამებათა“ ჟანრის ჰაგიოგრაფიული თხზულებები: „შუშანიკის წამება“ და „აბოს წამება“; II თავში — ცხოვრებათა ჟანრის ჰაგიოგრაფიული თხზულებები: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება“; III თავში — „ვეფხისტყაოსანი“; IV თავში — „სიბრძნე სიცრუისა“ და „დავითიანი“.

X კლასის ეროვნული სასწავლო გეგმა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: **ზეპირმეტყველება**

ქართ. X. 1. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დისკუსიის დროს წარმოადგენს საკუთარ ან ჯგუფის საერთო პოზიციას;
- მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს;
- მსჯელობს არგუმენტირებულად, გამოაქვს ადეკვატური დასკვნა;
- იყენებს ფაქტებს (მაგ., სტატისტიკურ მონაცემებს) და ციტატებს სხვადასხვა წყაროდან საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად;
- საუბრისას შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას;
- დამაჯერებლად იცავს საკუთარ მოსაზრებას, მაგრამ არ ცდილობს დისკუსიაში დომინანტური პოზიციის დაკავებას;
- სათანადო წესისა და ეტიკეტის დაცვით უძღვება მინიდისკუსიას (იმ შემთხვევაში, თუ წამყვანია).

ქართ. X. 2. კამათის დროს მოსწავლეს შეუძლია მიმართოს შესაბამის ტაქტიკას და დაიცვას სამეტყველო ქცევის ეთიკური ნორმები.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თეზისის წამოყენებისას მიმართავს „თავდასხმის„ ტაქტიკას (პირდაპირ მიმართავს ადრესატს; უსვამს კითხვებს ოპონენტს);

- ოპონირების დროს იყენებს „დიახ, მაგრამ...„; „ნაწილებად დაყოფის„ და „შეჯამების„ მეთოდებს (თავიდან თითქოს ეთანხმება მოწინააღმდეგეს, შემდეგ უარყოფს მის თეზისს: ნაწილ-ნაწილ განიხილავს მოწინააღმდეგის არგუმენტაციას; აჯამებს მოწინააღმდეგის პოზიციას და გადადის მის უარყოფაზე);
- აკონტროლებს საკუთარ ხმას, მიმიკასა და ჟესტიკულაციას;
- არ არის ზედმეტად კატეგორიული;
- განმუხტავს სიტუაციას ხუმრობით, იუმორით;
- კორექტულია ოპონენტების მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს.

ქართ. X. 3. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლისას მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაძლიერებელი ხერხების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამყარებს კონტაქტს მსმენელებთან (იყენებს რიტორიკულ შეკითხვებს, მიმართვას, ერთობლივი მოქმედების ამსახველ განმაზოგადებელ ფორმებს. მაგ., „ჩვენი მიზანია...“, „მივაქციოთ ყურადღება...“, „როგორც ვიცით...“ და სხვ.);
- უიოლებს აუდიტორიას ინფორმაციის აღქმას (სპეციალურად გამოყოფს ინფორმაციის ნაწილებს; იმეორებს; მოჰყავს მაგალითები; მკვეთრად აღნიშნავს ერთი თემიდან მეორეზე გადასვლას. მაგ., „უპირველეს ყოვლისა...“, „შემდეგ...“, „დაბოლოს...“, „მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს...“, „მივაქციოთ ყურადღება...“, „ვიმეორებ...“, „ახლა განვიხილოთ...“, „გადავიდეთ მომდევნო საკითხზე“ და სხვ.);
- მიიპყრობს მსმენელის ყურადღებას (გამოყოფს მოხსენების საინტერესო ნაწილს სპეციალური ლექსიკის, ჩანართების, რიტორიკული შეკითხვების, შეძახილების საშუალებით, მაგ.: „აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის“, „ეს ხომ ძალიან იოლია“, „რა

არის აქ არაჩვეულებრივი?!„ „ევრიკა!“ და სხვ.);

- გამოყოფს მთავარს, არსებითს (იყენებს მიზეზ-შედეგობრივ კონსტრუქციებს; მსმენელისადმი პირდაპირ მიმართვას, მაგ., „შესაბამისად...“, „შევაჯამოთ“, „შეიძლება დავასკვნათ...“, „მიაქციეთ ყურადღება“ და სხვ.);
- გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ინფორმაციის შინაარსისადმი (თხრობისას იყენებს პირველ პირს, დამოკიდებულების გამომხატველ ჩანართებს. მაგ., „მინდა გიამბოთ...“, „ჩემი აზრით...“, „მთლიანად ვიზიარებ აზრს...“, „აქედან გამომდინარე, მიმაჩნია...“ და სხვ.).

ქართ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტური იყო მოხსენების შესავალი ნაწილი (შეძლო თუ არა მომხსენებელმა მსმენელებთან კონტაქტის დამყარება; საუბრის თემის გამოკვეთა; მოახერხა თუ ვერა მსმენელის დაინტერესება და რა ხერხები გამოიყენა ამისათვის);
- განმარტავს, რამდენად ეფექტურად იყო წარმოდგენილი მოხსენების ძირითადი ნაწილი (იყო თუ არა ინფორმაცია დაყოფილი აზრობრივ მონაკვეთებად; დამაჯერებელი იყო თუ არა მომხსენებლის მსჯელობა, მოყვანილი მაგალითები, ფაქტები, ციტატები; იყო თუ არა მკვეთრად გამოყოფილი ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა);
- მსჯელობს იმის შესახებ, რამდენად ეფექტური იყო მოხსენების დასკვნითი ნაწილი (რამდენად კარგად შეძლო მომხსენებელმა განმაზოგადებელი თეზისების ან მოხსენების ძირითადი აზრის ჩამოყალიბება და რა ხერხები გამოიყენა მან ამისათვის).

ქართ. X. 5. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების ამოცნობა და შესაბამისად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს აუდიტორიაზე ზემოქმედების არავერბალურ ხერხებს (მხედველობით კონტაქტს, ხმის აწევ-დაწევას, საუბრის ტემპის შეცვლას, ჟესტიკულაციას) და შესაბამისად იყენებს მათ ზეპირი გამოსვლების დროს მსმენელთა ინტერესის გასაღვივებლად;
- ამოიცნობს მსმენელის რეაქციას და იყენებს საპასუხო სტრატეგიებს, როგორებიცაა აზრის პერიფრაზირება სიცხადისათვის ან მომზადებული ტექსტიდან გადახვევა აზრის უკეთ განმარტებისათვის;
- ამზადებს ტექსტს და ვიზუალურ მასალას აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე, გადის რეპეტიციას;
- აანალიზებს ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმატებას ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად სახავს ხარვეზების გამოსწორების გეგმას.

მიმართულება: კითხვა

ქართ. X. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის ტექსტების გაანალიზება მათი ორგანიზების თვალსაზრისით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს ტექსტის კომპოზიციას; აღნიშნავს, რას წარმოადგენს ტექსტი: დასრულებულ ნაწარმოებს, წინადადებას, პოეტურ სტროფს თუ პროზაულ ფრაგმენტს; აანალიზებს ტექსტის სტრუქტურულ ელემენტებს (სათაური, აბზაცი, სტროფი, ტაეპი);

- მსჯელობს ნაწარმოების კომპოზიციურ თავისებურებაზე; საკვანძო ეპიზოდების (სცენების) ურთიერთკავშირზე; მისი სტრუქტურული ელემენტების (ექსპოზიციის, პროლოგის, ეპილოგის...) დანიშნულებაზე;
- აღნიშნავს, რომელ პირშია (I თუ III) თხრობა და მსჯელობს, რა თავისებურებას ანიჭებს ეს ტექსტს;
- მიუთითებს, გვხვდება თუ არა ტექსტში ავტორისეული ჩანართები და მათი საშუალებით ამოიცნობს მოვლენებისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებას;
- განსაზღვრავს, რა ფორმით არის გადმოცემული სხვისი მეტყველება (პირდაპირი / ირიბი ნათქვამით) და მსჯელობს შერჩეული ფორმის ეფექტურობაზე;
- განსაზღვრავს ტექსტში მონოლოგის, დიალოგის, პოლილოგის ფუნქციას;
- განსაზღვრავს მეტყველების სხვადასხვა ტიპის (აღწერის, თხრობის, მსჯელობის) ეფექტიანობას სხვადასხვა სახის ტექსტებში;
- ახასიათებს წინადადებათა გადაბმის სახეებს (ჯაჭვური, პარალელური);
- განსაზღვრავს ფუნქციურ სტილს (სასაუბროს, მწიგნობრულს; სამეცნიეროს, ოფიციალურ-საქმიანს, პუბლიცისტურს, მხატვრულს);
- აღნიშნავს, ტექსტის ორგანიზების რა ხერხები (ალიტერაცია, პარალელიზმი, გრადაცია, ინვერსია, რეფრენი და სხვ.) გამოიყენება ტექსტში და რა მიზნით.

ქართ. X. 7. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოკრებს ტექსტიდან ფაქტობრივ ინფორმაციას (ანუ ინფორმაციას მოქმედების ადგილის, დროის, მონაწილეების

შესახებ; საქმის ვითარების, მოვლენათა თანამიმდევრობის, პერსონაჟთა ქცევის შესახებ);

- მიმართავს განსხვავებულ სტრატეგიებს კონცეპტუალური ინფორმაციის ამოსაკრებად მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში (მხატვრულ ტექსტებში აკვირდება ავტორისეულ პლანს: ლირიკულ გადახვევებს, მოვლენათა და პერსონაჟთა ავტორისეულ შეფასებებს; არამხატვრულ ტექსტებს განიხილავს აბზაცების მიხედვით, გაცხრილავს თითოეულ აბზაცს დეტალების, მაგალითებისა და ავტორისეული შეფასებებისაგან და ამ გზით აყალიბებს თეზისებს ტექსტის თითოეული აბზაციდან);
- ამოიცნობს ქვეტექსტურ ინფორმაციას და აქვს ქვეტექსტების ახსნის საკუთარი ვერსია.

ქართ. X. 8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების, პუბლიცისტური თხზულებების წაკითხვა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- საუბრობს იმის შესახებ, თუ რაზე დააფიქრა მხატვრულმა თუ პუბლიცისტურმა თხზულებამ;
- აკრიტიკებს ან იზიარებს ნაწარმოების პერსონაჟის ან ავტორის შეხედულებებს (მოჰყავს ციტატები ტექსტიდან საკუთარი აზრის ნათელსაყოფად);
- მსჯელობს პრობლემაზე, რომელიც დაინახა თხზულებაში;
- განმარტავს, რატომ წაიკითხა ან ვერ წაიკითხა თხზულება ინტერესით/გატაცებით;
- საუბრობს იმის შესახებ, რამდენად შეესაბამება / არ შეესაბამება ის, რაც თხზულებაშია ასახული, მის პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას ან შეხედულებებს.

ქართ. X. 9. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოების გაანალიზება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განსაზღვრავს ნაწარმოების ცენტრალურ იდეას / პრობლემატიკას;
- აჯგუფებს პერსონაჟებს კონფლიქტთან მიმართებით;
- თხრობითი ხასიათის ნაწარმოებებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (კვანძის შეკვრა, მოქმედების განვითარება, კულმინაცია, კვანძის გახსნა);
- საუბრობს ნაწარმოებში პეიზაჟის, ინტერიერის ფუნქციაზე;
- მსჯელობს ავტორის მეტყველების თავისებურებაზე, მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებსა (ალუზია, ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, მეტაფორა, შედარება და სხვ.) და მათს ფუნქციაზე ნაწარმოებში;
- განსაზღვრავს ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას ან ხედვის კუთხეს, რაც განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი ამბის / კონფლიქტის / პრობლემის ინტერპრეტაციას;
- შეაფასებს ლირიკულ ნაწარმოებს სუბიექტურ აღქმასა და/ან მხატვრული ფასეულობების გააზრებაზე დაყრდნობით;
- აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან და თანამედროვეობასთან (მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ აისახა ისტორიული ვითარება, ეპოქის კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები ამა თუ იმ ნაწარმოებში).

ქართ. X. 10. მოსწავლეს შეუძლია კითხვის მიზნის შესაბამისი სტრატეგიების გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს კითხვის სხვადასხვა სახეს: გაცნობით კითხვას,

შესწავლით კითხვას, კითხვას ძირითადი ინფორმაციის ამოკრებისათვის;

- იყენებს მარკირების სხვადასხვა ხერხს (მინიშნებებს ტექსტის არშიაზე, საკვანძო სიტყვების ან საინტერესო ადგილების ხაზგასმას, სხვადასხვა ფერის მარკერს და სხვ.);
- იყენებს სხვადასხვა საშუალებას (კონტექსტს, სიტყვათა აგებულების ცოდნას, ლექსიკონს) უცნობი სიტყვის მნიშვნელობის დასადგენად;
- ადგენს ლექსიკონს და განმარტავს უცნობი სიტყვების მნიშვნელობას;
- მონიშნავს და ამოიწერს ტექსტიდან კონცეპტუალური თუ ფაქტობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ციტატებს და ურთავს კომენტარებს.

მიმართულება: წერა

ქართ. X. 11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს თხზულება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერის დაწყებამდე აზუსტებს მიზანს და აუდიტორიას (რისთვის წერს – თვითგამოხატვის, მკითხველის ინფორმირების, დარწმუნების თუ მხატვრული ნაწარმოების შექმნის მიზნით; ვინ არის მისი ნაწერის პოტენციური მკითხველი: მასწავლებელი, სხვა უფროსები, თანატოლები თუ მასზე უმცროსები);
- ირჩევს მიზნისა და აუდიტორიის შესაფერის სტილს (მაგ., თუ ნაწერი მისი თანატოლების ან მასზე უმცროსებისთვისაა განკუთვნილი, ირჩევს სასაუბრო ტონს და მის შესატყვის ლექსიკას; საკონფერენციო თემისათვის – აკადემიურ სტილს და სხვ.);
- შეარჩევს და იყენებს წყაროებს მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით;

- შავად შესრულების შემდეგ გადაამუშავებს ნაწერს (გადახედავს კრიტიკული თვალით; ამოიღებს, ჩაამატებს, გადააადგილებს მონაკვეთებს იმის მიხედვით, არის თუ არა სათქმელი ლოგიკურად დალაგებული, გასაგებია თუ არა აუდიტორიისათვის, არის თუ არა შესავალი და დასკვნა ეფექტური; არის თუ არა კავშირი წინადადებებსა და აბზაცებს, ტექსტის ცალკეულ ნაწილებს შორის; მიესადაგება თუ არა ტექსტი მიზანსა და სათაურს).

ქართ. X. 12. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექტის შექმნა მოცემული პირობის ან მოდელის მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერს იგავს მოცემული მორალური სენტენციის საილუსტრაციოდ;
- მოცემული დასაწყისის მიხედვით აგრძელებს ნაწარმოებს (მოთხრობას, ნოველას, ზღაპარს, იგავს, ლექსს, პიესას) ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- აქვს ნაწარმოების დასასრულის საკუთარი ვერსია / ვერსიები;
- წერს მოთხრობას მოცემული წინადადების მიხედვით (შიფრავს წინადადებაში ჩადებულ ფაქტობრივ და ქვეტექსტურ ინფორმაციას და აყალიბებს ლოგიკურად გამართული ტექსტის სახით);
- ქმნის მხატვრულ ტექსტს მოცემული სათაურის, თემის, იდეის ან ფაბულის მიხედვით;
- წერს პაროდიას რომელიმე ცნობილ ნაწარმოებზე;
- გადმოაქვს წარსულ ეპოქებში შექმნილი ცნობილი ნაწარმოების ფაბულა თანამედროვე ეპოქაში და თხზავს სიუჟეტს ახალი სოციალური და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით (მაგ., „თანამედროვე მგზავრის წერილები„);
- თხზავს პოეტურ ნაწარმოებს მოცემული სარითმო სიტყვების გამოყენებით.

ქართ. X. 13. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა ერთი ან რამდენიმე წყაროს მიხედვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ირჩევს თემას;
- მოიძიებს და დაამუშავებს წყაროებს;
- ადგენს რეფერატის გეგმას;
- წერს რეფერატს შესაბამისი სტანდარტის დაცვით (ზუსტად პასუხობს თემას, მიზნობრივად იყენებს წყაროებს, აფორმებს შესაბამისად);
- თუ რეფერატი ერთი სტატიის მიხედვით იწერება, იცავს შესაბამის სქემას: შესავალი (სტატიის დასახელება, სად და როდის გამოქვეყნდა; ცნობები ავტორის შესახებ; სტატიის თემა; ავტორის მიერ არჩეული კვლევის, არგუმენტაციის მეთოდი); სტატიაში გაშუქებული ძირითადი საკითხების, პრობლემების, დებულებების ჩამონათვალი; ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანთა ანალიზი; შეფასება.

ქართ. X. 14. მოსწავლეს შეუძლია ტექსტის კონსპექტის შედგენა შესაბამისი წესების დაცვით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იწერს დასაკონსპექტებელი ტექსტის მონაცემებს (ავტორს, სათაურს, გამოცემის წელს);
- დაკონსპექტებამდე შინაარსის კარგად გასააზრებლად ყურადღებით გადაიკითხავს ტექსტს;
- ადგენს გეგმას – კონსპექტის საყრდენს;
- დაკონსპექტების დროს ფურცელზე ტოვებს ვრცელ მინდვრებს შემდგომი დამატებების, შენიშვნების, უცნობი სიტყვებისა და ტერმინების ახსნა-განმარტებისათვის;
- მიმართავს ტექსტის პერიფრაზირებას, ანუ წერს საკუთარი სიტყვებით (რაც ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას და, შესაბამისად, დამახსოვრებას).

ქართ. X. 15. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს გამოხმაურება წაკითხულ წიგნზე ან მხატვრულ ნაწარმოებზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადმოსცემს წაკითხულით აღძრულ შთაბეჭდილებებს;
- წარმოადგენს პრობლემას, რომელიც დაინახა ნაწარმოებში; აკრიტიკებს ან იზიარებს ავტორის თვალსაზრისს;
- გამოხატავს პერსონაჟთა მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას;
- მსჯელობს იმის შესახებ, რა იყო კონკრეტულ ნაწარმოებში მისთვის მისაღები და რა – მიუღებელი;
- ურთავს კომენტარებს მისთვის ყველაზე შთამბეჭდავ ადგილებს;
- მოიხმობს ადგილებს ტექსტიდან საკუთარი აზრის დასასაბუთებლად.

ქართ. X. 16. მოსწავლეს შეუძლია წერის სტრატეგიების გამოყენება ნაწერის ორგანიზებისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თავს უყრის იდეებს (იყენებს იდეების გენერირების სხვადასხვა ტექნიკას: წყაროების კითხვას, „გონებრივ იერიშს“, ჟურნალისტურ კითხვებს და სხვ.);
- წინასწარ აგროვებს მასალას (ციტატებს ნაწარმოებებიდან, მკვლევართა მოსაზრებებს, ისტორიულ ფაქტებს და სხვ.);
- ირჩევს და კრიტიკულად შეაფასებს წყაროებს. გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად მიუთითებს მათ და იცავს მასალის დამოწმების წესებს: ციტირებას, პერიფრაზირებას, რეზიუმირებას;
- კითხულობს ნაწერს კორექტირების მიზნით, ასწორებს შეცდომებს, ლექსიკონების მიხედვით ამოწმებს სიტყვათა ფორმებს;

- ხმამაღლა უკითხავს ნაწერს თანაკლასელს (მასწავლებელს, მშობელს) და მათი შენიშვნების გათვალისწინებით ჩაასწორებს მას;
- საბოლოო ვარიანტის რედაქტირების დროს გადაიკითხავს ნაწერს იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად ლოგიკურად და გამართულად არის გადმოცემული აზრი და ჩაანაცვლებს უკეთესი ვარიანტით / შეუცვლის ადგილს;
- იცავს ციტირების წესებს (ციტატას სვამს ბრჭყალებში, მიუთითებს წყაროს: ავტორს, წიგნის/პუბლიკაციის დასახელებას, გამომცემლობას, გამოცემის ადგილსა და წელს, გვერდს/ებს).

საშუალო საფეხურის (X-XII კლასების) სავალდებულო ლიტერატურა

(ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი შეადგენს საშუალო საფეხურისათვის განკუთვნილი მთლიანი შინაარსის 60 პროცენტს)

1. იაკობ ცურტაველი – „შუშანიკის წამება“;
2. იოვანე საბანისძე – „აბოს წამება“;
3. გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, 12 ეპიზოდი: 1. გრიგოლის ცხოვრება სასულიერო მოღვაწეობის დაწყებამდე; 2. ზენონის ეპიზოდი; 3. გრიგოლი და გაბრიელ დაფანჩული; 4. გრიგოლისა და აშოტ კურაპალატის პირველი შეხვედრა; 5. საბა იშხნელისა და ბაგრატ კურაპალატის დიალოგი; 6. გრიგოლი დასავლეთ საქართველოში; 7. გრიგოლის შეხვედრა დედასთან; 8. ჯავახეთის საეკლესიო კრება; 9. ეფრემ მაწყვერელის ღვაწლი; 10. რომანული ეპიზოდები (აშოტი, ადარნერსე); 11. ცქირის ეპიზოდი; 12. გრიგოლის აღსასრული.
4. შოთა რუსთაველი – „ვეფხისტყაოსანი“: „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირის“ ჩათვლით; „დასასრული“.

5. სულხან-საბა ორბელიანი – „წიგნი სიბრძნე სიცრუისა„: ლეონის თავგადასავალი; იგავ-არაკები: „მეფე ხორასანისა“, „ძუნწი დიდვაჭარი’’, ,,უგუნური მცურავი“, ,,სამნი ბრმანი“, ,,მეფუნდუკე და დიდვაჭარი„;
6. დავით გურამიშვილი – „დავითიანი„: ,,ქართლის ჭირი„ (ისტორიული ნარატივი); ,,კაცისა და საწუთროს ცილობა„; „ვაი, რა კარგი საჩინო“, „სახით სიტყვა-შუენიერო“, „საწუთრო სოფლის სამდურავი„;
7. ალექსანდრე ჭავჭავაძე – „გოგჩა„;
8. გრიგოლ ორბელიანი – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“;
9. ნიკოლოზ ბარათაშვილი – „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი„;
10. ილია ჭავჭავაძე – „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“, „პასუხის პასუხი“, „ოთარაანთ ქვრივი“, „განდეგილი“, „ბედნიერი ერი“, „ორიოდე სიტყვა„ (მითითებული სახით), „ზოგიერთი რამ„ (მითითებული სახით);
11. აკაკი წერეთელი – „გამზრდელი“, „ქებათა ქება (სხვებმან სვან ღვინო...), „აღმართ-აღმართ“;
12. ალექსანდრე ყაზბეგი – „ხევისბერი გოჩა“;
13. ვაჟა-ფშაველა – „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი“ (მითითებული სახით), „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (მითითებული სახით);
14. დავით კლდიაშვილი – „სამანიშვილის დედინაცვალი“;
15. მიხეილ ჯავახიშვილი – „ჯაყოს ხიზნები“;
16. ნიკო ლორთქიფანიძე – „შელოცვა რადიოთი“;
17. კონსტანტინე გამსახურდია – „დიდოსტატის მარჯვენა“;
18. პოლიკარპე კაკაბაძე – „ყვარყვარე თუთაბერი„ (I და IV მოქმ.);
19. გალაკტიონ ტაბიძე – „თოვლი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „მშობლიური ეფემერა“, „შერიგება“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას„;
20. ტიციან ტაბიძე – „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“, „პოეზია“;

21. გიორგი ლეონიძე – „ყივჩაღის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე„;
22. გურამ რჩეულიშვილი – „ალავერდობა“;
23. ანა კალანდაძე – „მკვდართა მზე ვარ„ (...ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ...);
24. გურამ დოჩანაშვილი – „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა„;
25. ჯემალ ქარჩხაძე – „იგი“.

როგორც აღვნიშნეთ, X კლასის სახელმძღვანელოში საშუალო საფეხურის სავალდებულო ლიტერატურიდან შეტანილია ძველი მწერლობის ნიმუშები, ახალი და უახლესი მწერლობა ავტორთა კოლექტივს, შესაბამისად, XI და XII კლასების სახელმძღვანელოებში აქვს წარმოდგენილი.

სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შინაარსისა და მიზნების რუკა

ტექსტი	კითხვის სტრატეგია	მხატვრული ანალიზის ელემენტები	ტექსტის ენა	სასწავლო დროის ხანგრძლივობა	ესგ-ს შესაბამისი შედეგები
იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამება“	ეპოქის მსოფლმხედველობის გათვალისწინება	ავტორი – მთხრობელი – პერსონაჟი. გმირი და ანტიგმირი	დამატებითი ასონიშნები ძველი ქართულისათვის; მეშველი ზმნა „არს“ ძველ ქართულში; კავშირები ძველ ქართულში; ნაცვალსახელი ნაწილაკის როლში; კითხვის ნიშანი ძველ ქართულში.	15 აკადემიური საათი	X. 1,2,3,8,9,10, 11,12,16
იოანე საბანისძე „აბოს წამება“	ტექსტის დაკავშირება ისტორიულ კონტექსტთან	სიმბოლო	ორი მწერლის სტილის განსხვავება; სტილიზაცია ისტორიული შინაარსის თხზულებაში; სტილი და სტილიზაცია.	12 აკადემიური საათი	X. 1,2,3,4,5, 8,9,10,11, 15,16
გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	პერიფრაზირება	კომპოზიცია	„ჯერ-არს“ რთული ზმნის ისტორიიდან; პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ასახვა ძველ ქართულ ზმნაში; თავისებური ვნებითისფორმები ძველ ქართულში.	15 აკადემიური საათი	X. 1,2,8, 9,10,11, 16
გიორგი მთაწმინდელი „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრება“	ეპოქის ესთეტიკის გათვალისწინება	ჟანრის კანონი	ძველი და ახალი „იოვანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ ენაში; მსაზღვრელსაზღვრულის შეთანხმების ერთი შემთხვევა.	8 აკადემიური საათი	X. 1,2,3,4,5,6,7, 8,9,10,11, 13,14,16
შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“ — პროლოგი	ავტორის ესთეტიკური მრწამსის გათვალისწინება	პროლოგი	„ვეფხისტყაოსნის ქართული“.	4 აკადემიური საათი	X. 1,2,8,9,10

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“ (დანარე ჩენი ტექ-სტი)	როგორ წავიკითხოთ ვრცელი ეპიკური პოემა	ტროპული მეტყველება	სინონიმური წყვილები „ვეფხის-ტყაოსანში“.	60 აკადემი-ური საათი	X. 1,2,8,9, 10,11,16
სულხან-საბა ორ-ბელიანი „სიბრძნე სიცრუისა“	ავტორის სათქმელის ამოცნობა, იგავ-არაკი-დან დასკვნის გამოტანა	იგავ-არაკი	„სიბრძნე სიცრუისა“ და სულხან-საბას ლექსიკონი; მწერლის ენის ანალიზი ერთი იგა-ვის მიხედვით; პირისა და რიცხვის ნიშნები ზმნაში; ძველი ხოლმეობითი სულხან-საბას ენაში.	15 აკადემი-ური საათი	X. 1,2,3, 4,5,6,7, 8,9,10, 11,12,13, 14,15,16
დავით გურამიშვილი „დავითიანი“	სიმბოლურ-ალეგორიული სახეების ამოცნობა	მხატვრული მეთოდი	ძველი (არქაული) დავით გურამიშ-ვილის ენაში; ახალი დავით გურამიშვილის ენაში; პროსოდიული ხმოვნები ტაეპების ბოლოს; პოეტის ენობრივი თავისუფლება („პოეტური ლიცენცია“)	12 აკადემი-ური საათი	X. 1,2,6, 7,8,9, 10,11,16

სასწავლო მასალის წარდგენის ფაზები და გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები

მეთოდიკაში ცნობილია სასწავლო მასალის წარდგენის შემდეგი ეტაპები ანუ ფაზები:

ა. მოტივაცია;
ბ. საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა;
გ. ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება;
დ. ძირითადი მასალის გაცნობის შემდეგ (ან პარალელურად) შესასრულებელი სავარჯიშოები;
ე. დამაგვირგვინებელ ეტაპზე შესასრულებელი სავარჯიშოები;
ვ. დამოუკიდებელი სამუშაო.

ჩვენ ვცდილობდით თითოეული პარაგრაფი სწორედ ამ პრინციპზე აგვეგო, რაც ნათლად ჩანს პარაგრაფის სტრუქტურიდან. მასწავლებელმა უნდა დაყოს პარაგრაფი გაკვეთილის ხანგრძლივობის შესატყვის მონაკვეთებად და განსაზღვროს თითოეული კონკრეტული გაკვეთილის მიზანი და აქტივობები.

გთავაზობთ გაკვეთილის დაგეგმვის ზოგად პრინციპებს: გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა სამი კითხვა უნდა დაუსვას საკუთარ თავს:

1. რა შედეგს ველი ამ გაკვეთილისგან? ანუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ (განავითარონ) მოსწავლეებმა?
2. როგორ უნდა მივიღო სასურველი შედეგი?
3. როგორ გავიგო, რომ შედეგი მივიღე?

პასუხი პირველ კითხვაზე არის **გაკვეთილის მიზანი;** მეორე კითხვა გაკვეთილზე შესასრულებელი **აქტივობების** დაგეგმვაში დაგვეხმარება; მესამე კითხვა კი **შეფასების ფორმების** განსაზღვრისთვის არის საჭირო.

ამავე ეტაპზე უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა დაგეგმილი აქტივობების განსახორციელებლად საჭირო **აუცილებელი პირობები,** ანუ რა უნდა იცოდნენ მოსწავლებმა, რომ დასახული ამოცანის შესრულება შესძლონ (სჭირდებათ თუ არა მათ წინასწარ გარკვეული საკითხების დამუშავება ან ინფორმაციის მოძიება და სხვ.).

სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ განსაზღვროს აგრეთვე, რა **მასალა** დასჭირდება მას გაკვეთილის ჩასატარებლად (წიგნები, ციტატები, თვალსაჩინოება...).

ამის შემდეგ უკვე შესაძლებელია გაკვეთილის აღწერა.

სანიმუშოდ გთავაზობთ რამდენიმე გაკვეთილის სცენარს.

გაკვეთილი I

გაკვეთილის თემა:

ქართული მწერლობის სათავეებთან;
ქართული დამწერლობა;
ქართული სალიტერატურო ენა.

გაკვეთილის მიზანი:

- ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- შედარებისა და დასკვნების გამოტანის უნარის განვითარება;
- ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევის განვითარება.

აქტივობები:

- თავის დასაწყისში მოცემული ფრაზების გააზრება;
- ილუსტრაციაზე დაკვირვება;
- ჯგუფებში მუშაობა – ქართული დამწერლობის განვითარების გზაზე დაკვირვება.

საჭირო რესურსი:

- სახელმძღვანელო;
- პლაკატი „ქართული ანბანი“;
- ელენე მაჭავარიანის წიგნი „ქართული დამწერლობა“.

შეფასების ფორმა:

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე;
- კითხვებზე პასუხის გაცემა.

გაკვეთილის მსვლელობა:

- დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეთა ყურადღებას ამახვილებს ფრაზებზე, რომლებიც წინ უძღვის სახელმძღვანელოს I ნაწილს: კითხულობს ხმამაღლა/აკითხებს რომელიმე მოწაფეს და სვამს კითხვებს, რითიც არკვევს, როგორ გაიგო კლასმა თითოეული გამონათქვამი;
- შესაძლებელია, მასწავლებელმა საჭიროდ მიიჩნიოს, რომელიმე ამ გამონათქვამზე (ან მოსწავლეთა სურვილისამებრ) 5-წუთიანი წერაც ჩაატაროს, ნაწერებს მოსწავლეები წარმოადგენენ კლასში.

15 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი კითხვების საშუალებით მოსწავლეებს გაახსენებს, რა არის ზეპირსიტყვიერება, რომელი ფოლკლორული ნიმუშები ახსოვთ, რას მოგვითხრობენ ეს ტექსტები; როგორ მოაღწიეს მათ ჩვენამდე, ანუ როგორ (ზეპირად, წერილობით) ვრცელდებოდა ისინი;
- შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ ისტორიიდან, რა იციან ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ, ქართული ტრადიციით, ვის სახელს უკავშირდება ანბანის წარმოშობა...
- მასწავლებელი მიაწვდის ცნობას მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ქართული დამწერლობის წარმოშობასთან დაკავშირებით და სთხოვს, დამოუკიდებლად გაეცნონ სახელმძღვანელოში მოცემულ ქვეთავს «ქართული დამწერლობა»;
- შემდეგ მასწავლებელი კითხვების საშუალებით გაარკვევს, რამდენად გასაგებია მოსწავლეებისთვის ამ სტატიაში მოცემული ინფორმაცია.

20 წუთი

- მასწავლებელი განსაკუთრებით გაამახვილებს ყურადღებას ქართული ანბანის განვითარების საფეხურებსა და მის გრაფიკულ თავისებურებებზე (ცნობები ამ საკითხზე იხ. ე. მაჭავარი-

ანის წიგნში «ქართული დამწერლობა»); მოსწავლეებს უხსნის, რომ ასომთავრული ერთიანი გრაფიკული სისტემაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველა ასოს მოხაზულობა წინასწარ აღებული წრისა და სწორი ხაზისაგან არის წარმომდგარი, თითოეული მათგანი ერთნაირი სიმაღლისაა და კვადრატში ჯდება. აქვე მიანიშნებს, რომ ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან არის ასო **ჯ**, რომელიც **ი** და **ქ** ასოების გადაჯვარედინებითაა მიღებული და წარმოადგენს **იესო ქრისტეს** ინიციალებისაგან შედგენილ მონოგრამას (სასურველია, მოსწავლეებს მიეწოდოს დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კვადრატი უკავშირდება დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლის გეგმას (ე.წ. მერცხლისბუდური დარბაზები), რაც არქიტექტურაში მიიჩნევა გუმბათიანი ტაძრის პირველსახედ);

- ამ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სცადონ და ჩაწერონ კვადრატში ასომთავრული ანბანის რამდენიმე ასო-ნიშანი, რომელსაც მერე კლასში წარმოადგენენ.

10 წუთი

საშინაო დავალება

- შინ წასაკითხად მოწაფეებს ეძლევათ შესავალში მოცემული დანარჩენი ქვეთავები, ასევე — დავალება (გვ. 18), რომლის შემდეგ კითხვებზე პასუხები რვეულში უნდა მოინიშნონ და მოამზადონ მომდევნო გაკვეთილისთვის.

გაკვეთილი II

გაკვეთილის თემა:

„სიბრძნე სიცრუისას“ ავტორი

გაკვეთილის მიზანი:

- სულხან-საბას ბიოგრაფიის გაცნობა-გააზრება;
- ტექსტში ინფორმაციის მოძიების უნარ-ჩვევის განვითერება;
- კვლევის უნარ-ჩვევის განვითარება;

- ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევის განვითარება.

აქტივობები:
- თავის დასაწყისში საბას „სიბრძნე სიცრუისას“ ფრაზის გააზრება;
- ილუსტრაციაზე დაკვირვება;
- სტრატეგიის — „ვიცი/მინდა ვიცოდე/ვისწავლე“ — გამოყენება;
- ჯგუფებში მუშაობა საბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად.

საჭირო რესურსი:
- სახელმძღვანელო
- გიორგი ლეონიძის მონოგრაფია „სულხან-საბა ორბელიანი“
- ინტერნეტი

შეფასების ფორმა:
- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე;
- კითხვებზე მოსწავლეთა პასუხების შეფასება.

გაკვეთილის მსვლელობა:
- მასწავლებელი კითხულობს თავის დასაწყისში მოცემულ საბასეულ ფრაზას და იმის გასარკვევად, გაიგეს თუ არა მოწაფეებმა ნათქვამი, კლასს სთავაზობს, გაიხსენონ წაკითხულიდან/ნანახიდან, ნასწავლიდან ან საკუთარი გამოცდილებიდან მაგალითი, რომელიც ადასტურებს (ან ეწინააღმდეგება) ამ თეზისს;
- შესაძლებელია მასწავლებელმა კლასს შესთავაზოს 5-წუთიანი წერაც ამ საკითხზე;
- შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას, რას შეიძლება უჩვენებდეს/გადასცემდეს სულხან-საბა თავის გაზრდილს, ვახტანგ VI-ს?

10 წუთი

- მასწავლებელი ჯგუფებად დაყოფს კლასს და აცნობს სქემას:

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

- შემდეგ სვამს კითხვას, რა იციან სულხან-საბას შესახებ და სთხოვს ჯგუფებში იმუშაონ და შეავსონ I და II სვეტები;
- შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ სტატიას „ავტორი“ და სქემაში ავსებენ მესამე სვეტს.
- პრეზენტაცია.

20 წუთი

- პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი კითხულობს სახელმძღვანელოში IV თავის ბოლოს მოცემულ ჩანახატს: „ფიტარეთი“.
- ამის შემდეგ საბას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკეთ შესწავლისა და გააზრებისთვის მოსწავლეებს სთავაზობს „ჯგუფური გამოკვლევის“ ჩატარებას იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს სახელმძღვანელოშია მოცემული (აქვე შევნიშნავთ, რომ შესაძლებელია, ეს კვლევა მეორე დღისთვის არ დავავალოთ და მოვითხოვოთ. მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს მოსწავლეებთან ერთად, როდის, რა სახის დასრულებულ სამუშაოს მოიტანს ესა თუ ის ჯგუფი. განსაზღვრული უნდა იყოს პრეზენტაციის დღეც. ამის შემდეგ კი შესაძლებელია დაიწყოს მზადება შემოთავაზებული „ჩანახატების კონკურსისთვის“, რომელიც ალბათ ამ თავის სრულად შესწავლის შემდეგ მოეწყობა).

15 წუთი

საშინაო დავალება

- ჯგუფებმა წარმოადგინონ ის მასალა, რომელზეც იმუშავებენ პრეზენტაციისთვის.

გაკვეთილი III

გაკვეთილის თემა:

სულხან-საბა ორბელიანის შეხედულება სწავლა-აღზრდის შესახებ.

გაკვეთილის მიზანი:

- „სიბრძნე სიცრუისადან“ სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ეპიზოდებისა და გამონათქვამების ამოკრება;
- ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- შედარება-შეპირისპირებისა და დასკვნების გამოტანის უნარის განვითარება;
- ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- წერის უნარ-ჩვევის განვითარება;
- საპრეზენტაციო უნარ-ჩვევის განვითარება.

აქტივობები:

- აღზრდის ორი მეთოდის შედარება-შეპირისპირება;
- ჯგუფში მუშაობა ტექსტიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრებაზე;
- მომზადება წერითი დავალების შესასრულებლად.

საჭირო რესურსი:

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა:

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე;
- კითხვებზე პასუხის გაცემა.

გაკვეთილის მსვლელობა:

- გაკვეთილის თემის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი კლასს სთავაზობს შემდეგ სამუშაოს: შეადარონ ერთმანეთს სპარტანული აღზრდა და საბასეული აღზრდის მეთოდები.
- ქვემოთ გთავაზობთ ინფორმაციას სპარტანული აღზრდის შესახებ (აქვე შევნიშნავთ, რომ, კლასის მომზადების დონიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ამ ინფორმაციის მოძიება მოსწავლეებსაც დაევალოს, რისთვისაც ისინი დაიხმარებენ ისტორიის მასწავლებელს, ინტერნეტს და ა.შ.)

სპარტანული აღზრდის მეთოდები

ზოგი მეცნიერი მიიჩნევდა, რომ სულხან-საბას აღზრდის სისტემა ძალიან ჰგავდა სპარტანულს. სპარტის სახელმწიფო კანონები შექმნა მითიურმა პიროვნებამ, ლიკურგემ, IX ს. ჩ. წ-მდე. ეს სახელი ქართულად «მგლების განმდევნს» ნიშნავს. ამ კანონების მიხედვით:

ა. სპარტელებს ეკრძალებოდათ მიწის დამუშავება, რადგან ეს დამამცირებელ საქმედ მიიჩნეოდა;
ბ. ვაჟი რომ დაიბადებოდა, მამას გვარის უხუცესთან მიჰყავდა, თუ ბავშვი ჯანმრთელი იყო, მამასვე უბრუნებდნენ, თუ — არა, ხრამში აგდებდნენ;
გ. შვიდი წლისას აბარებდნენ დახურულ სასწავლებელში, სადაც მათ ფიზიკურ გაკაჟებაზე ზრუნავდნენ: ეუფლებოდნენ ომის ხელოვნებას, ეჩვეოდნენ ტკივილის ატანას, მორჩილებას, წესრიგს;
დ. მოწაფეებს ხშირად ქურდობას ასწავლიდნენ, ხოლო თუ ქურდობისას დაიჭერდნენ, სჯიდნენ, იმის გამო, რომ მან ამ საქმეში თავი ვერ გამოიჩინა;
ე. წერა-კითხვა მეორეხარისხოვანი საქმე იყო, მიზანი იყო კარგი ჯარისკაცის მომზადება, რომელიც მთლიანად სახელმწიფოს ეკუთვნოდა.

- ეს ინფორმაცია სასურველია ფორმატზე/დაფაზე ჩამოწერილი სქემის სახით მიეწოდოთ მოსწავლეებს.

10 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად, მოუნიშნავს ტექსტის გარკვეულ მონაკვეთებს და ავალებს, საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის ამოკრებასა და თეზისებად ჩამოყალიბებას.

20 წუთი

- მასწავლებელი სთხოვს ჯგუფებს, შეადარონ ერთმანეთს აღზრდის ეს სისტემები და გამოიტანონ დასკვნა იმის შესახებ, თუ რა მიაჩნია სულხან-საბას სამართლიანი მეფის აღზრდისათვის აუცილებელ პირობებად, ანუ როგორ უნდა გაიზარდოს და რა უნდა იცოდეს პიროვნებამ.

15 წუთი

საშინაო დავალება

- რადგანაც კლასს უკვე აქვს ინფორმაცია ამოკრებილი ტექსტიდან, დავალებად ეძლევათ წერილობით გადმოსცენ სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები სწავლა-აღზრდის შესახებ იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია სახელმძღვანელოში (იხ. „წერითი სამუშაო“).

გაკვეთილი IV

გაკვეთილის თემა:

ნაწყვეტი «დავითიანიდან»: უკვდავების წყაროს იგავიდან — ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულებამდე.

გაკვეთილის მიზანი:

- მოცემული ნაწყვეტის გაცნობა-გააზრება;
- ტექსტზე დაკვირვების უნარ-ჩვევის განითარება;
- პროსოდიული ხმოვნების ამოცნობა ტექსტში.

აქტივობები:

- ტექსტის კომენტირებული კითხვა;
- ლექსიკაზე დაკვირვება;
- შემხვედრი ადგილების დაძებნა სახარების შესაბამის თავებთან.

საჭირო რესურსი:

- სახელმძღვანელო;
- „ქართული ოთხთავი“.

შეფასების ფორმა:

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე;
- კითხვებზე პასუხის გაცემა.

გაკვეთილის მსვლელობა:

- ტექსტის სირთულიდან გამომდინარე, სასურველია კლასში ხმამაღლა წავიკითხოთ (შესაძლოა დაიწყოს მასწავლებელმა — ამ დროს მოსწავლეები ტექსტს ადევნებენ თვალს — და შემდეგ მოსწავლეებმა განაგრძონ);
- სათანადო ადგილას კითხვა წყდება ამა თუ იმ კომენტარის გასაკეთებლად, მასწავლებლის ან მოსწავლის მიერ (ტექსტის გაგებისთვის) კითხვის დასასმელად.

25 წუთი

- მოსწავლეები წყვილებში კითხულობენ სახელმძღვანელოში მოცემულ სტატიას „პროსოდიული ხმოვნები ტაეპების ბოლოს“ და ასრულებენ იქვე მოცემულ დავალებას.

15 წუთი

საშინაო დავალება

- საშინაო დავალებად მოსწავლეებს შეიძლება მიეცეს პარალელების დაძებნა მათეს სახარების 27-ე – 28-ე თავებსა და გურა-

მიშვილის «ჯვარცმის ამბავს“ შორის (კლასის მომზადებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შეუძლიათ სახარების ტექსტი აიღონ როგორც ახალი, ასევე ძველი ქართულითაც).

- შეიძლება ეს დავალება სქემის სახითაც შესრულდეს. მაგ.:

„დავითიანი“	სახარება
„ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს“...	„მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, მღდელთ–მოძღუართა მათ... რა გნებავს მოცემად ჩემდა და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი“...(26, 15-16).

გაკვეთილი V

გაკვეთილის თემა:

ნაწყვეტი „დავითიანიდან“: უკვდავების წყაროს იგავიდან — ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულებამდე.

გაკვეთილის მიზანი:

- მოცემული ნაწყვეტის გააზრება;
- ლიტერატურულ პარალელებზე მუშაობა;
- მსჯელობის უნარის განვითარება.

აქტივობები:

- საშინაო დავალების შემოწმება;
- ნაწყვეტის ბოლოს მოცემულ საანალიზო კითხვებზე მუშაობა;
- მუშაობა ლიტერატურულ პარალელებზე;
- პარალელების დაძებნა „დავითიანსა“ და სახელმძღვანელოში მოყვანილ სულხან-საბასა და ვახტანგ VI-ის ტექსტებთან.

საჭირო რესურსი:

- სახელმძღვანელო

შეფასების ფორმა:

- მასწავლებლის დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობასა და ქცევაზე;
- კითხვებზე პასუხის გაცემა.

გაკვეთილის მსვლელობა:

- მასწავლებელი ამოწმებს, თუ როგორ გაართვეს თავი მოსწავლეებმა საშინაო დავალებას, რისთვისაც, სურვილისამებრ, რამდენიმე მოსწავლე წარმოადგენს თავის ნამუშევარს;
- პრეზენტაციისას მოსწავლეები უსმენს მომხსენებელს და სრულყოფენ გამორჩენილ პარალელებს.

10 წუთი

- შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ამუშავებს ნაწყვეტის ბოლოს მოცემულ საანალიზო კითხვებზე.

15 წუთი

- მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს (კომენტარებით) სახელმძღვანელოში მოცემულ სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ტექსტებს რუბრიკიდან „ლიტერატურული პარალელები“;
- შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს დაძებნონ პარალელები „დავითიანის“ შესაბამის სტროფებთან.
- პრეზენტაცია.

20 წუთი

საშინაო დავალება

- საშინაო დავალებად მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ: წერილობით იმსჯელონ, თემატიკის გარდა, რა ანათესავებს მოყვანილ ფრაგმენტებს „დავითიანთან“.

შეფასების სისტემა, ფორმები, რეკომენდაციები

შეფასება სწავლა/სწავლების პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სასწავლო გეგმის მიხედვით დადგენილია ორი ტიპის შეფასება: **განმავითარებელი და განმსაზღვრელი**.

განმავითარებელ შეფასებას (რომელიც თავის თავში მოიცავს **თვითშეფასებასაც**) მასწავლებელი იყენებს სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად. ეს სწავლების პროცესის მიმდინარეობისას მიღწეულის შეფასებაა, მაგალითად, რაიმე თემის/ტექსტის შესწავლის პროცესი, საშინაო დავალების, პროექტის რომელიმე ეტაპის ან გაკვეთილზე ჩართულობის შეფასებაა. ამგვარი შეფასებისას მოსწავლე მასწავლებლისგან იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას განვითარებასა და საკუთარი სწავლის გაცნობიერებაში ეხმარება, ამდენად, შეფასების ამგვარი ფორმა უფრო მეტად ურთიერთანამშრომლობითია, ვიდრე განმსაზღვრელი შეფასება, აქედან გამომდინარე, განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელი ქულას არ წერს, იგი მოწაფეს აძლევს რჩვას, რეკომედაციას, უჩვენებს პრობლემათა გადაჭრის გზებს, დააფიქრებს საკუთარი აზროვნების პროცესზე და ა.შ.

თვითშეფასება და ურთიერთშეფასება მოსწავლეთა შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსწავლეებმა შეიძლება შეაფასონ საკუთარი თავიცა და თანატოლიც. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მოსწავლეს თვალი ადევნოს საკუთარ პროგრესს. შეფასების ამ ფორმის ხშირად გამოყენება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის ობიექტურ შეფასებას ასწავლის და დამოუკიდებლად სწავლისა და თვითკრიტიკის უნარს უვითარებს. იგი მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვისაც, რომელიც მეტ ინფორმაციას აგროვებს მოწაფეების შესახებ და უფრო მეტად შეუძლია დაეხმაროს მათ.

განმსაზღვრელი შეფასება კი მოსწავლეთა მიღწევებსა და დონეს განსაზღვრავს სასწავლო გეგმასა და სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. განმსაზღვრელი შეფასება შედეგზეა ორიენტირებული, ამდენად ქულის დაწერა სავალდებულო მოთხოვნაა. განმსაზღვრელი შეფასებისას მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა შემაჯამებელ აქტივობას: პრეზენტაციას, პროექტის განხილვას, ტესტს, საკონტროლო წერას და ა.შ. განმსაზღვრელი შეფასება ქულის სახითაა მოცემული, რომელიც განსაზღვრავს მოწაფის დონეს, შესაბამისად, მას შეიძლება არ ახლდეს შედეგების გასაუმჯობესებლად კომენტარები ან რეკომენდაციები.

განმავითარებელი შეფასების მეთოდები

მასწავლებლის დაკვირვება – ჩანაწერები, კომენტარები მოსწავლის მიღწევების შესახებ. გამოიყენება სწავლების ყოველ ეტაპზე: კითხვებზე პასუხისას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისას, საკლასო წერისას...

კომენტარი – ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი მოსწავლეს აწვდის მისი კონკრეტული პასუხისა თუ კონკრეტული დავალების შესრულებისას. ეს შეიძლება იყოს: ქება, გამხნევება, რჩევა, დაფიქრებისკენ მოწოდება, შეცდომის გასწორება.

თვითშეფასების სხვადასხვა ფორმა არსებობს, ყველაზე გავრცელებული თვითშეფასების სქემებია, რომლებიც კონკრეტული საჭიროების მიხედვით იცვლება, იმის მიხედვით, თუ რას ვამოწმებთ: ერთ თემას, ერთ გაკვეთილს, ერთ სავარჯიშოს, ფაქტობრივ მასალას, როგორ განუვითარდათ გარკვეული უნარ-ჩვევები, წერით ნამუშევარს და სხვ. ამგვარი სქემები სასურველია მოსწავლეებთან ერთად შემუშავდეს.

წერითი ნამუშევრის თვითშეფასების ნიმუში:

სახელი გვარი ---------- თარიღი ----------

როდესაც გადავხედე ნამუშევარს, დავინახე, რომ ----------

გავაუმჯობესე ----------

ვამაყობ, რომ ----------

კვლავ მჭირდება განმტკიცება ----------

შემდგომ წერით დავალებაში შევეცდები, რომ ----------

გაკვეთილზე საკუთარი საქმიანობისა და შინაგანი, პიროვნული პროცესების თვითშეფასების ნიმუში (პირობითი ნიშნების გამოყენებით)

- ვპასუხობდი კითხვებს და ჩემს პასუხებს მივყავდით პრობლემის გადაწყვეტამდე (პირობითი ნიშანი მზე);
- ვამატებდი და ვავითარებდი სხვების პასუხებს, ვეხმარებოდი გაკვეთილის „შენობის აგებაში“ (აგურები);
- ვპასუხობდი, მაგრამ, როგორც მერე მივხვდი, არცთუ წარმატებულად, რადგან ან სხვის პასუხს ვიმეორებდი, ანდაც სწორ გზას ვცდებოდი. (ჩაშვებული ღუზა)
- ყველაფერი ვიცოდი და მესმოდა, მაგრამ პარტიზანივით ვდუმდი (სანამ რამეს ვიტყოდი, სხვები მასწრებდნენ; ვშიშობდი, არასწორად არ მეპასუხა, დაე, სხვებმა იმუშაონ); (დაკეცილი კონვერტი).
- ვდუმდი, რადგან არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ ყურადღებით ვუსმენდი სხვებს (მოცინარი კაცუნა, რომლის ყურებისკენ მიმართულია ისრები)
- მეძინა, ბუზებს ვითვლიდი, ვოცნებობდი (ნეტა რაზე?), ვფიქრობდი, ვიწერდი საშინაო დავალებას (ღრუბლები).

ამგვარად, მოწაფე აფასებს საკუთარ აქტივობას, საკუთარ წვლილს გაკვეთილზე ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის საქმეში (მასწავლებელმა ყოველთვის არ იცის, რა დგას მოწაფის დუმილს უკან, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რას აირჩევს მოსწავლე: „ვიცოდი და ვდუმდი“, თუ „არ ვიცოდი და ვდუმდი“. მასწავლებელი დროდადრო კრებს თვითშეფასების ფურცლებს და არშიებზე აკეთებს საკუთარ შენიშვნებს (ძალიან კორექტული და არაკატეგორიული ტონით) მაშინაც, როცა მოსწავლე გადაჭარბებით აფასებს საკუთარ თავს და მაშინაც, როდესაც იგი დაბალ თვითშეფასებას ამჟღავნებს (ამგვარ თვითშეფასებაში არის რისკი იმისა, რომ მოწაფემ იეშმაკოს, არაადეკვატურად შეაფასოს საკუთარი თავი, მაგრამ ამგვარი რისკი მაინც გამართლებულია, რადგან ბევრი ბავშვისთვის იგი სტიმულია, რათა მიაღწიოს იმ სასურველ შედეგს, რომელიც ამ ეტაპისთვის მისთვის დაუძლეველი აღმოჩნდა).

შემდეგ გვერდზე გთავაზობთ **განმსაზღვრელი შეფასების** რამდენიმე რუბრიკას:

საპრეზენტაციო უნარების შეფასების რუბრიკა

ძულები და კრიტერიუმები	ფრიადი 9-10	კარგი 7-8	საშუალო 4-6	სუსტი 1-3
გამართული და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს; აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს.	გამართულად მეტყველებს; იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს.	იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს; მეტნაკლებად გამართულად საუბრობს.	არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს; უჭირს გამართულად საუბარი.
სათქმელის ნათლად და ლოგიკურად გადმოცემა	სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად; საკითხს აშუქებს ამომწურავად და თანმიმდევრულად	სათქმელს გადმოსცემს ნათლად და ლოგიკურად; საკითხს აშუქებს თანმიმდევრულად.	სათქმელს გადმოსცემს გასაგებად.	უჭირს სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა.
კონტაქტი აუდიტორიასთან; თვალსაჩინოებების გამოყენება	წარმატებით იყენებს არავერბალურ (ხმის აწევდაწევა, მიმიკა, ჟესტიკულაცია) საშუალებებს აუდიტორისთან კონტაქტის დასამყარებლად; იყენებს თვალსაჩინოებებს.	ადეკვატურად იყენებს არავერბალურ საშუალებებს აუდიტორიასთან კონტაქტის დასამყარებლად.	მეტ-ნაკლებად ახერხებს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას.	ვერ ახერხებს აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარებას.
კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა	ადეკვატურად და ამომწურავად პასუხობს კითხვებს.	ადეკვატურად პასუხობს კითხვებს.	პასუხობს კითხვების ნახევარზე მეტს.	ვერ პასუხობს კითხვების ნახევარს.

საკლასო მსჯელობაში მონაწილეობის შეფასების რუბრიკა

ძულები და კრიტერიუმები	ფრიადი 9-10	კარგი 7-8	საშუალო 4-6	სუსტი 1-3
აქტიური მონაწილეობა	ყოველთვის მონაწილეობს და ხშირად წარმართავს კიდეც საკლასო მსჯელობას.	ყოველთვის მონაწილეობს.	ხშირად მონაწილეობს.	იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს.
გამართული და სწორი მეტყველება	გამართულად მეტყველებს; აქვს მდიდარი ლექსიკა და შემოქმედებითად იყენებს ენობრივ-გამომსახველობით საშუალებებს.	გამართულად მეტყველებს; იყენებს მართებულ სინტაქსურ და გრამატიკულ კონსტრუქციებს.	იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს; მეტნაკლებად გამართულად საუბრობს.	არ იცავს მართლმეტყველების ელემენტარულ წესებს; უჭირს გამართულად საუბარი.
საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს თავის მოსაზრებას.	თითქმის ყოველთვის ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას.	ხშირად ახერხებს საკუთარი აზრის დასაბუთებას.	ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს.
სხვისი აზრის მიმართ პატივისცემის დემონსტრირება	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით; კორექტულია და ამყღავნებს სხვისი აზრის მიმართ პატივისცემას, მაშინაც კი, როცა არ ეთანხმება მას.	უსმენს სხვებს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსმენილზე დაყრდნობით.	უსმენს სხვებს და აცდის საუბრის დამთავრებას.	არ უსმენს სხვებს; არ აცდის სხვას საუბრის დამთავრებას.

წერის უნარის შეფასების რუბრიკა

ძულები და კრიტერიუმები	ფრიადი 9-10	კარგი 7-8	საშუალო 4-^6	სუსტი 1-3
მიზანი და აუდიტორია	მოხერხებულად იყენებს მიზნის შესაბამის და აუდიტორიის მისაზიდ ენობრივ საშუალებებს.	ჩანს მიზანი, დაწერილია კონკტერული აუდიტორიისათვის მისთვის გასაგები და მიზნის შესატყვისი ენით.	ჩანს მიზანი და აუდიტორიის გათვალისწინების მცდელობა.	არ ჩანს მიზანი და აუდიტორია, ანუ რისი თქმა უნდა მოსწავლეს და ვისთვისაა განკუთვნილი მისი ნაწერი.
შესაბამისი სტრუქტურა	ზედმიწევნით იცავს ტექსტის შესაბამის სტრუქტურას.	ძირითადად იცავს ტექსტის შესაბამის სტრუქტურას.	ცდილობს დაიცვას ტექსტის შესაბამისი სტრუქტურა.	ვერ იცავს ტექსტის შესაბამის სრტუქტურას.
დამხმარე დეტალები	წარმატებით იყენებს დამხმარე დეტალებს სათქმელის უკეთ წარმოსაჩენად.	იყენებს დამხმარე დეტალებს.	იყენებს ერთ ან ორ დამხმარე დეტალს.	არ იყენებს დამხმარე დეტალებს.
ენობრივი მახასიათებლები (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა)	იყენებს შესაფერის და მდიდარ ლექსიკას; თითქმის არ უშვებს შეცდომებს.	იყენებს შესაფერის ლექსიკას; უშვებს მცირე შეცდომებს.	იყენებს შესაფერის, მაგრამ ღარიბ ლექსიკას; უშვებს შეცდომებს.	იყენებს შეუფერებელ ლექსიკას; უშვებს ბევრ შეცდომას.

ეს ზოგადი კრიტერიუმები უფრო კონკრეტულ სახეს მიიღებენ იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული ტიპის ტექსტის შეფასებაზე იქნება საუბარი. მაგალითად, თუ თხრობითი ხასიათის ტექსტს ვაფასებთ (ვთქვათ, მოთხრობას), „შესაბამისი სტრუქტურის დაცვა“ გულისხმობს: არის თუ არა თხრობა თანმიმდევრული, გამოკვეთილია თუ არა დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. „დამხმარე დეტალებში“ შეიძლება ვიგულისხმოთ: მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, პერსონაჟის ხატვის ხერხები, დიალოგი, ან სულაც მოსწავლის მიერ ჩართული ილუსტრაციები და ფოტომასალა. მიზანი კი მაშინ იკვეთება, როცა ჩანს მოსწავლის განზრახვა, რა სურს მას — აუდიტორიის გაცინება, გართობა, დაინტერესება, დარწმუნება, თუ მისთვის ინფორმაციის მიწოდება. ამისთვის მან შესაბამისი ხერხები უნდა გამოიყენოს. მაგალითად, თუ აუდიტორიის გაცინება სურს, რაიმე იუმორისტული ხერხი უნდა გამოიყენოს, წარმოაჩინოს ამბავი სასაცილო კუთხით და ა.შ.

ამა თუ იმ უნარის შესაფასებელი ქულა რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების მიხედვით მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული იქნება.

ძირითადი სარეკომენდაციო ლიტერატურა მასწავლებელთათვის

1. კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I, თბ., 1980; ტ.II, თბ., 1981.
2. ივანე ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზულებანი, ტ.VIII, თბ., 1977.
3. კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969.
4. ალექსანდრე ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, თბ., 1980.
5. პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ.IV, თბ., 1978.
6. აკაკი გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ.I-III. თბ., 1962-1981. ტ.I (ორ ნაკვეთად), თბ., 1962. ტ.II, თბ., 1980.
7. ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, I,II, თბ., 1962.
8. სარგის ცაიშვილი, ქართული მწერლობა, თბ., 1990.
9. ქართული მწერლობა (ლექსიკონი-ცნობარი.წიგნი I), თბ., 1978.
10. რევაზ ბარამიძე, ძველი ქართული მწერლობის პრობლემები, თბ., 1980.
11. რევაზ სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თბ., 1975.
12. გრიგერ ფარულავა, მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, თბ., 1982.
13. გურამ ასათიანი, სათავეებთან, თბ., 1982.
14. რევაზ თვარაძე, გადასახედი, თბ., 1997.
15. გია ალიბეგაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, გია მურღულია, საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე, თბ., 1992.
16. რევაზ ბარამიძე, ქართული მწერლობის სათავეებთან, თბ., 1978.
17. რევაზ სირაძე, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბ., 1997.

18. რევაზ სირაძე, ქართული აგიოგრაფია (სასკოლო საკითხავი), თბ., 2001.
19. იაკობ ცურტაველი, „მარტვილობაჲ შუშანიკისი“ (ილია აბულაძის გამოცემა), თბ., 1938.
20. იაკობ ხუცესი — შუშანიკის წამება, გიორგი მერჩულე — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, სასკოლო გამოცემა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზურაბ სარჯველაძემ, კორნელი დანელიამ და ელგუჯა გიუნაშვილმა), თბ., 1985.
21. გვანცა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე, ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება, თბ., 1997.
22. ლალი დათაშვილი, საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიაში, თბ., 1996.
23. შუშანიკის წამება, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1978.
24. რევაზ ბარამიძე, შუშანიკის წამება, თბ., 1987.
25. შერმადინ ონიანი, იაკობ ხუცესის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი“, თბ., 1978.
26. ივირონი — 1000. თბ., 1983.
27. ელენე მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998.
28. ალექსანდრე ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
29. გაიოზ იმედაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა, თბ., 1988.
30. გაიოზ იმედაშვილი, რუსთველოლოგია (ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა), თბ., 1941.
31. შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966.
32. გიორგი ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958.
33. სარგის ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, ტ.I-II, თბ., 1970.
34. აკაკი გაწერელია, რუსთაველის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1977.
35. მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“, გიორგი წერეთლის

რედაქციით, თბ., 1973.
36. ნოდარ ნათაძე, სარგის ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966.
37. ელგუჯა ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1975.
38. სულხან-საბა ორბელიანი სკოლაში, თბ., 2001.
39. დავით გურამიშვილი სკოლაში, თბ., 1998.
40. ტიტე მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები, თბ., 1989.
41. გია მურღულია, „დავიათიანის“ მხატვრულ სახეთა სისტემა. თბ., 1997.
42. გია მურღულია, „დავიათიანის“ სწავლებისათვის, თბ., 1998.
43. ლალი დათაშვილი, „დავითიანის“ სწავლებისათვის, თბ., 1998.
44. ჟურნალი „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 3, 1978; 2, 1979; 3; 1979; 1, 1983; 2, 1983.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.